№ 27. 9 თებერვალი, სამშაბათი. 1866—1882 9 თებერვალი, სამშაბათი. № 27.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. თ. მუხრანსკის სახლებ-ში, ქვემოთ
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით, ასოზე ნახევარი კაპ., ...
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი 4 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია სტავროპოლის ვიცე-გუბერნატორი ფისერმანი სტავროპოლისავე გუბერნატორად დაინიშნება, მაიორ მილდერი თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის ადიუტანტად, სენატორი გრაფი შუვალოვი იმპერატორის საკუთარ მამულების დეპარტამენტის გამგებლად.

გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამბობს, გავიგონეთო, ვითომც ტაგანროგის დამოჟნის ფულის შეჯამაში გარეულს ყოფილიყოს ერთი მილიონი ბეი შეიტანოს და ამის გამო ის გამოუშვეს ციხიდამაო. ერთი უმთავრესი მოწამეთაგანი ტაგანროგის საქმისა უეცრად მოკვდა; მეორე მოწამეს რევოლვერი ესროლეს და ააცდინეს.

პეტერბურღი, 5 თებერვალს. მთავრობას განზრახვა აქვს, რომ უფრო გაამრავლოს სამღვდელოების გავლენა სკოლებში.

თამბაქოს შესახებ წესდების გამოცვლას მოელიან.

იუსტიციის სამინისტროში ინიშნება კამისია, რომელსაც მინდობილი ექნება საქმის წარმოების შემოკლება პირობების შეკვრის თაობაზედ.

ტულის, ორიოლის და პოლტავის ერობანი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ მომრიგებელ მოსამართლეების ცენზი შემცირებულ იქმნეს.

პეტერბურღი, 7 თებერვალს. ჩერნიგოვის გუბერნია კიევის გენერალ-გუბერნატორის ხელ-ქვეშით იქნება.

მთავრობას განზრახვა აქვს, რომ საზოგადო სამართლისა და გამოძიების წესით აწარმოვოს რასკოლნიკების საქმეები.

კავკასიის სამასწავლებლო მაზრა დაემორჩილება სახალხო განათლების სამინისტროს, მხოლოდ უფრო მძიმე საქმეები სამასწავლებლო მაზრის მზრუნველმა (პოპეჩიტელმა) ჯერ პირველად კავკასიის სამოქალაქო უწყების მთავარ-მმართებელს უნდა აცნობოს.

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: სახელმწიფო რჩევის წევრი თ. ლივენი დაითხოვნება სამსახურიდგან.

„გოლოსში“ სწერენ: ტულის, ტვერისა და ვლადიმირის გუბერნიები აღარ ექვემდებარებიან მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს.

„ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილია, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი 7 თებერვალს გამოვა პეტერბურღიდამო; გენ. გურკო კი 5-ს თებერვალს წავიდაო.

პეტერბურღის ბირჟა, 5 თებერვ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—75 |
| მეორესი — — — — | 91—37 |
| მესამესი — — — — | 91—62 |
| მეოთხესი — — — | 91—25 |
| მეხუთესი — — — | 90—50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90—25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— 5 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 220— „ |
| მეორე სესხის — — | 218—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—53 | პენსი |
| ჰამბურღი — | 208—75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 258— „ | სანტიმი |

## განხორციელებული გმირნი
## შ. რუსთველის „ვეფხის ტყაოსნისა“

დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმპერატორის სასახლის მხატვარი ბ. ზიჩი, რომელიც განთქმულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სამზღვარ გარეთ თავის ნიჭითა და ხელოვნებით.

ვის არ უნახავს მხატვრობა ზიჩისა „თამარ დედოფალი და დემონი“?

ახლა ზიჩმა დიდი ღვაწლი დასდო თავის შრომით საქართველოს: იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა თვისს უკვდავს „ვეფხის ტყაოსანში“.

რამდენიმე საათში ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდამ ცოცხლად რუსთველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხის ტყაოსნისა“.

ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილნი თავის სილამაზით, ნაზობით და სახის-მეტყველებით. ამათ თავის თვისებით და ჩაცმა-დახურვით წარმოგვიდგინეს ის ძველი ქართველი ქალები, რომელნიც სცხოვრებდნენ მეთორმეტე საუკუნეში რუსთველის დროს.

ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენა ვნახეთ 6-ს ამა თებერვალს. ბევრი სურათები გვინახავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არა შეედრება-რა. ეტყობოდა, რომ აქ მომქმედი პირი პოეტი-მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა-მხატვარმა ზიჩიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა იმას დიდებულ რუსთველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხის ტყაოსნისა“. ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვდარი ქართველნი.

ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთველისა, საქართველოს და იმის შვილების გასაცნობად.

პირველმა სურათმა წარმოგვიდგინა მამისაგან როსტევან არაბეთის მეფისაგან დაგვირგვინება თინათინისა.

მეორემ—მეჯლიში ფარსადან მეფესთან.

მესამე სურათი—ნესტან-დარეჯანი თავის ოთახში ზის, ასმათს ტარიელი შემოჰყავს.

მეოთხე—მამიდა ნესტან-დარეჯანი-

〈დროების〉 ფელეტონი, 9 თებერვ.

### ქუთათური ამბები

კრება ქართულის ენის პროგრამაზედ მოსალაპარაკებლად. — თავმჯდომარის და გიმნაზ. დირექტორის სიტყვებიდამ. — თ. გ. მ. შარვაშიძის აზრი. — ფინანსთ სამინისტრო და სათავად-აზნაურო ბანკი. — რატომ სთქვა უარი? — ჩვენი რა ბრალია აქაური ბუნება რუსეთისას რო არ ჰგავს! — ბანკის გამგებლის პეტერბურღში გამგზავრება.

ძლივს და ისიც მოუხერხებლად!

წარსული თვის უკანასკნელს ხუთშაბათს ჩვენი სააზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, რომელსაც ამავე ბანკის წევრთ პარმანდელმა ზოგად კრებამ მიანდო ზრუნვა აქაურს სასწავლებლებში ქართული ენის შესაფერად სწავლებისათვის—მიიწვია რამდენიმე საპატიო პირნი, რომ მოელაპარაკნათ, გაესაჯნათ და ამ საგნის თაობაზე დაბოლოვებით რამე გარდაეწყვიტათ.

სულ იყო ორმოცი კაცი და, მათ შორის, სავაჟო გიმნაზიის დირექტორი ბ. სტოიანოვიც. სხდომა გაიხსნა ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარის ა. ფიფინაშვილს სიტყვით, რომელშიაც სხვათა საანბანო ჭეშმარიტებათა შორის აღიარებულ იქმნა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა არაფრით არის დავალებული რუსულის სკოლებისაგან, რომ ყოველი ქართველი მწერალი მადლიერი უნდა იყოს და დავალებულიცაა მხოლოდ თავის თვით—სწავლებისა და ნიჭისაგან... ამის სამწუხარო მიზეზი ის არისო, სთქვა მან, რომ სწავლება უცხო ენაზეაო და თუ იმის (მიზეზის) აცილება გვინდა (სრულად აგვაცილებს კი?), ვთხოვოთ მმართებლობას დედა-ენის შემოღება ყველა კლასებში (დამსწრეთ აზრით, ლათინურის და ბერძნულის ენების გაკვეთილები უნდა შემცირდეს და მათგან დაკლებული გაკვეთილები უნდა დაეთმოს ქართულს) და მისის მასწავლებელისათვის შტატის ადგილის მინიჭება. თუ გვეტყვიან, რომ საამისოდ საჭირო ფული ხაზინას არა აქვსო, მაშინ ჩვენი ბანკი, თანახმად პარმანდელის ზოგადის კრების გარდაწყვეტილებისა, თვითონ აღმოუჩენს საჭირო ნივთიერს საშუალებასაო.

ბ-ნ სტოიანოვმა აღიარა, რომ ქართველ მოწაფეთ სწავლა უჭირდებათ და უძნელდებათ მათთვის უცხო რუსული ენის სრულიად უცოდინარობისაგამო, რომელზედაც არის სწავლება აქაურს სასწავლებელში. როგორც წინედ ევროპის სასწავლებლებში ჰსუფევდა ლათინური ენა, ისეა ეხლა ჩვენს სკოლებში რუსული. ქართველი ყმაწვილი თუთიყუშსავით ითვისებს სასწავლებელში რუსულ სიტყვებს და ამ ზეპირობის საშუალებით გადადის ერთის კლასიდამ მეორეშიო. მეც იმ აზრის ვარ, სთქვა ბ. სტოიანოვმა თავის ფრიად გონიერულს სიტყვაში, რომ ქართულის სწავლება გააადვილებს მოხსენებულს დაბრკოლებას და უფრო წარმატებას მისცემს აქაურს სასწავლებლებში სწავლების მსვლელობასაო.

ამ დროს თ. აკაკი წერეთელი და ალექსი ჭიჭინაძე აცხადებენ, რომ ეხლა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სხვა-და-სხვა ცვლილებათა მოელიან და თფილისში ახალგაზრდობა ამზადებს მთავარ-მმართებლისადმი მისართმევად წერილს, რომელშიაც ჩამოთვლილი იქნება თუ რა-და-რა სჭირია ჩვენს მხარეს,—ჩვენის მხრით მხოლოდ ქართული ენის სწავლების შემოღების თხოვნა ერთობ მკრთალი იქნება და გოჭის კუდის აზზეკას ემსგავსებაო.

მათ მიუგეს, რომ ჯერ ჩვენთვის გავარკვიოთ—როგორ, რა-და-რა ნაირად ვითხოვოთ და შეგვიძლია თხოვნით დავიცადოთო.

შემოიტანეს წინადადება, რომ თხო-

სა—დავარა ზანგებს აძლევს თავის ძმის-წულს ზღვაში ჩასაგდებად.

მეხუთე—ნადირობა და აღმოჩენა ტარიელისა—„მის ყრმისა ვეფხის-ტყაოსნისა".

მეექვსე—გაცნობა ტარიელისა და ავთანდილისა გამოქვაბულში. აქვე ასმათი.

მეშვიდე — ფატმანის კაცებისაგან დახსნა ნესტან-დარეჯანისა.

მერვე—წარდგენა ნესტან-დარეჯნისა ზღვათ შარის მეფის მელიქ-სურხავის წინაშე.

მეცხრე—ქაჯეთის ციხის აღება და ნესტან-დარეჯნის განთავისუფლება და

მეათე—მეფე მელიქ-სურხავთან ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის დაქორწინება.

ურიგო არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ. ზიჩისა ჩვენ, ქართველებმა, გარდა თანაგრძნობის გამოცხადებისა, დავაგვირგვინოთ რაიმე ნივთის მირთმევით, რასაკვირველია, ძველის დროის ნივთითა, რომ სახსოვრად ჰქონდეს რუსთველის შვილებისაგან...

ბოლოს დიდი მადლობა და თანაგრძნობა ეძლევის აგრეთვე ზიჩის თანამშრომელთ, უმეტესად კი მოთავეს ქ-ნა ბარბარე ბარათაშვილისას და სხვებს, რომელთაც შრომა არ დაზოგეს ამ საქმის დასაგვირგვინებლად. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენმა ქალებმა კიდევ ბევრჯელ გამოიჩინონ მეცადინეობა საზოგადო კეთილ საქმეში, გვიჩვენონ უმეტესი შემწეობა და მით წინ წასწიონ ქართველთ დავრდომილი ცხოვრება...

ი. წ.

## დღიური

ჩვენ შევიტყეთ, ხაშურის რკინის გზის სახელოსნოში რომ უბედურობა მოხდა, ამ საქმის გამოსაძიებლად აქაურ ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ. ბუდიმ-ლევკოვიჩი გაუგზავნია.

ერთიც რამე გვაქვს ამ საგნის შესახებ საკითხავი:

კანონია, რომ მმართებლობისაგან დაყენებულ რკინის გზის ინსპექტორმა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა მოახდინოს ხოლმე რევიზია ყველა სახელოსნოებისა, საორთქლე ქვაბებისა და სხვ. საინტერესოა შევიტყოთ:—ამ ფოთი-ტფილისის რკინის გზის გახსნის შემდეგ, რამდენჯერ გასინჯეს, რამდენჯერ მოახდინეს რევიზია ხსენებულ ინსპექტორმა და იმის თანაშემწეებმა?

***

უყელიერებმა როგორღაც ერთობ მკრთალად, მოწყენილად ჩაიარა ჩვენს ქალაქში. მხოლოდ ჩვენი ესრედ-წოდებული „მაღალი საზოგადოება" და ჩინოვნიკობა ქეიფობდა კლუბებში და მასკარადებში, თეატრებში. „მდაბიო ხალხს"-კი ქეიფისა და დროსგატარების არა ეტყობოდა-რა. ზურნაც-კი არ ისმოდა ჩვენს ქუჩებში... მაგრამ ამ სიძვირეში ვის სცხელია საქეიფოდ!? აღარც გული ძველებური, აღარც უდარდელობა და აღარც შეძლება!

დღეს ქუჩაში ქეციან ვირზე უკუღმა შემჯდარ გამურულ ყეენს ატარებენ, რომელსაც მხოლოდ ორმოციოდე კაცი—„პაჭარნი ბიჭები" და ქუჩის ბიჭები მისდევენ უკან... მაგრამ ეს ჩინებული, ისტორიული ჩვეულება ისე დამცირებულა, რომ თითქო დიდმარხვის ორშაბათი და ყეენობის დღე არ იყოს დღეს, ისე არაფრად აჩნევია ქალაქს...

***

წუხანდლივით მხიარულად იშვიათად თუ როდისმე გაგვიტარებია საღამო ქართულს წარმოდგენაზე. ნიჭიერს მობენეფისეს ბ. ვ. აბაშიძეს სწორეთ ისეთი პიესები ამოერჩია თავის ბენეფისისათვის, რომელშიაც საუკეთესო, სასაცილო როლები აქვს: ორი მოქმედება ბ. ა. ცაგარელის პიესიდამ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", მესამე მოქმედება ამავე ავტორის კომედიისა „მათიკო" და კიდევ ამავე ცაგარელის ვოდევილი „ბაიყუში". მუცელი არ შეგვრჩა, ცრემლი გვდიოდა მომეტებულის სიცილისაგან.

თეატრი სავსე იყო ხალხით. მობენეფისეს ნიჭის თაყვანის-მცემლებმა თანაგრძნობის ნიშნად მშვენიერი ოქროს საათი მიართვეს თავის ძეწკვით.

***

გავლილ პარასკევს, 5 თებერვალს, მტკვრის ნაპირას, კუკიის ხიდს ზემოდამ, სადაც მხერხავები არიან, ერთს დიდ ბოჩკაში ნახეს შუაზე გადაჭრილი და თავ-გახეთქილი პოლიციის აფიცერი ქალაქის მეათე უჩასტკისა. უფრო ხელი გამოძიებაა დანიშნული ამ საქმის თაობაზე; მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუგიათ-რა. ჰფიქრობენ-კი, რომ ეს პოლიციის აფიცერი სადმე მუშტაიდის იქით უნდა იყოს მოკლული, იქ ჩაუგდიათ ბოჩკაში და წყლისთვის მიუციათო.

***

სომხური გაზეთი „მელუ აიასტანი" გვაცნობებს, რომ ტფილისში არსდება „სომხური დრამმატიული კლუბი", რომლის დანიშნულება ის იქნებაო, რომ სამშობლო სცენას ხელი მოუმართოსო. ამ კლუბის წესდება უმაღლესის მთავრობისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

***

დასავლეთ საქართველოდამ, ე. ი. იმერეთიდამ, სამეგრელო - გურიიდამ და აგრეთვე ბათუმის მხრიდამ გვწერენ, რომ ამისთანა დიდი თოვლი დიდი ხანია არ გვინახავს ჩვენკენაო; ზოგან სამი არშინი მეტი თოვლი სძევსო, სოფლებში სახლების სახურავებამდინ ავიდაო, და ამასთან ჯერჯერობით ისე ცივაო, რომ ამ თოვლის დადნობას მალე არ უნდა მოველოდეთო.

***

ხაშურის, ზემო-ჭალისა და ცხრამუხის შეერთებულ სკოლის მასწავლებლის ბ-ნი ალ. ნათაძისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„ამ წლის თქვენ გაზეთ „დროების" მეთვრამეტე №-ში იყო დაბეჭდილი ვინღაც ბ-ნი „ფანკრატის" ფელტონი, რომელმაც ძალიან გააწიწმატა და აღელვა ბევრი ჩვენი მხრის მებატონეები, სხვათა შორის ზემო-ჭალაში მცხოვრები აბაშიძეებიც და, რადგანაც მეც მყუდროება შემერყია, როგორც საერო მასწავლებელს, და ბევრი ლაპარაკიც და მუქარა ასტეხა ჩემზედ, მითომ როგორც იმ ფელტონის დამწერზე, ნება მომეცით ბატონო რედაქტორო, გთხოვთ, რომ გამოაცხადოთ თქვენ პატივ-ცემულ გაზეთ „დროებაში", რომ ის ფელტონი ჩემს კალამს არ ეკუთვნის.

„ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ ისიც, რომ არც ერთი აბაშიძეთაგანი არ გაკადნიერებულა ისე, რომ ცხენდა-ცხენ მოწეულ-იყვეს გაცხარებული სწავლის დროს სკოლაში ლეკურის სათამაშოთ. პირ-იქით ყველა ზემო-ჭალაში მცხოვრები აბაშიძეები სულ ყოველთვის მზათ არიან თავი დასდონ ადგილობრივ ნორჩი სკოლის ფეხზე დაყენებისათვის."

ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებული კორრესპონდენცია ბ. ნათაძეს არ ეკუთვნის.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ხაშური, 4 თებერვალს.** აი უფრო დაწვრილებითი ამბები იმ საშინელის უბედურებისა, რომელიც მოხდა ამ თვის პირველს ხაშურის რკინის გზის სახელოსნოში:

დამტკიცებით ამბობენ, რომ უვარგისობამ ამ საორთქლე ქვაბისა, რომელიც 1873 წელს დადგეს, დიდი ხანია მიიქცია ყურადღება იმ მაშინისტებისა, რომელნიც იმასთან მუშაობდნენო; ამ მაშინისტების დაჟინებითის თხოვნით, ბოლოს, ამ უბედურ-

---

ენასთან ერთად მმართებლობას წარვუდგინოთ პროგრამმა, რომლის მიხედვითაც უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა სასწავლებლებში. მოწინადადებეთ აზრით, ეხლავ უნდა დაინიშნოს მცოდნე პირთა კომისსია ამ პროგრამმის შესადგენად. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედ. ბ-ნი უზნაძე პროგრამის წარდგენის საჭიროებას ამტკიცებს იმ წინა-მაგალითით (პრეცედენტით), რომ, როცა სამღვდელოებამ სთხოვა სასულიერო მთავრობას სასულ. სასწავლებლებში ქართულ ენის შემოღებაო, მაშინ მას მოსთხოვეს: რა ნაირის პროგრამმით გინდათ სწავლება იყოსო და წარმოგვიდგინეთ თქვენი სასურველი პროგრამმაო.

ზოგი თანახმა იყო პროგრამმის შესადგენად კომისიის დანიშვნისა და ზოგი კი წინააღმდეგობდა იმ მიზეზის გამო, რომ, თუ ქართულის შემოღებაზე ნებართვის მოცემა უნდა მთავრობას, პროგრამმის წარუდგენლადაც მოგვცემს და პროგრამმა მერმეც შეიდგინებაო; თუ არა და, კიდეც რომ წარვადგინოთ, მაინც უარს გვეტყვიანო.

შეიქნა ჩოჩქოლი. დამსწრენი ჯგუფ-ჯგუფებად დაიყვნენ. ერთს მათგანში თ. გიორგი მიხ. შარვაშიძე ამბობს: რა-კი ჩვენს ყმაწვილთ სწავლა უჭირდებათ იმიტომ, რო უცხო, რუსულის ენაზეა საგნების სწავლება, ვითხოვოთ გონივრულის დამტკიცებებით, რომ რამდენიმე კურსის განმავლობაში მთელი სწავლება ქართულს ენაზედ იყოსო. ამ თხოვნას უფრო აგვისრულებენო, ვიდრე იმას, რასაც სხდომა აბჭობს ეხლაო. სამწუხაროდ, ეს აზრი-აზრად დარჩა:—„უჰ, რას ამბობ, მაგ თხოვნას ვინ შეგვიწყნარებსო!" ბრძანეს... რასაკვირველია, მათ არ გახსენებიათ რუსთველის სიტყვები:

„სადაცა მივა მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი:
„მუნითგან ვმეხნო ღონენი ჩემნი არ დასამრუდენი."

ბოლოს, როგორც იქნა, გარდასწყვიტეს... კომისსიის დანიშვნა ქართული ენის პროგრამმის შესადგენად. ამ კომმისიაში სულ 20-მდე კაცია, რამდენიმე ტფილისელთაგანიც: ილ. ჭავჭავაძე, იაკ. გოგებაშვილი და პეტ. უმიკაშვილი. ჩვენ ვგონებთ, რომ ამ კომმისიას დასჭირდება პროგრამმის შედგენა არა თუ მარტო სავაჟო და საქალებო გიმნაზიებისათვის, არამედ ყველა დანარჩენ სასწავლებელთათვის, რაც ჩვენში არის, თუ კი უნდა ბანკის ზოგადი კრების გარდაწყვეტილებისამებრ მოიქცეს.

—

უცნაური ამბავი მოუვიდა ჩვენს სათავად-აზნაურო ცეცხლ-მქშინავ ბანკს ფინანსთ სამინისტროსაგან. ამ ამბიდამ მკითხველი თვალთ-საჩინოდ დაინახავს, თუ რამდენად მართალნი ყოფილან მწერლობის ის ორგანნი, რომელნიც ეჭვით უყურებდენ და უყურებენ კავკასიის რუსეთთან უმაშვალოდ შეერთების სარგებლობას. თუ ქვემოყვანილისთანა ცხადს საქმეში ამ რიგი გაუგებრობა მოხდა სამინისტროსა და ჩვენებურს დაწესებულებას შორის—რაღა იქნება, თუ ყოველივე დარგი (**отрасль**) ჩვენი მხრის გამგეობისა უმაშვალოდ შეუერთდა პეტერბურღის ბიუროკრატიულს გამგეობას?!

გვისმინეთ. ბანკმა დაიგირავა სხვადა-სხვა ადგილ-მამული და, რადგანაც ამ სესხის მიცემას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არა ჰქონია, წინდა-წინ მისცა მსესხებლებს გირავნოს ფურცლების მაგიერ ნაღდი ფული ორას ათასიოდე მანეთი უწყებულ % გამოკლებით, რასაკვირველია. ამასთანავე ფინანსთ სამინისტროს გაუგზავნა მოხსენებულის სესხის ფორმალურად დამტკიცების თხოვნა და სესხის თანაბრის გირავნოს ფურცლების გამოშვების უფლება. ამნაირად ერთჯერ არ მოქცეულა და ორჯერ, როგორც

ბის წინა-დღეს დაათვალიერეს და გამოსცადეს ეს ქვაბი. ამ გამოცდამ და გასინჯვამ დაამტკიცა, რომ ქვაბი თითქმის სრულიად უვარგისი იყო; წყალი შადრევანივით გამოხეთქდა ქვაბის ნაწილების შემაერთებელ ადგილებიდამ.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ რკინის გზის მთავრობამ, იმ მთავრობამ, რომელსაც ოფიციალურად „მოძრავ იარაღებისა და სახელოსნოების უფროსის“ ეწოდება, შესაძლოდ დაინახა უიქმონტოდ, გაუკეთებლად განეგრძოთ ამ ქვაბის მუშაობა.

სამწუხაროდ, მაშინისტმა და ცეცხლის შემკეთებელმა (კაჩეგარმა), რომელნიც 1 თებერვალს დაიხოცნენ, თან წაიღეს საიქიოს ბევრი საინტერესო ცნობანი ამ საორთქლე ქვაბის გასინჯვის შესახებ. საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ ქვაბი იმ მხრით კი არ გასქდა, რომელი მხარეც გასინჯეს, არამედ სულ მეორე მხრით. უნდა იცოდეთ, რომ ეს საორთქლე ორის ქვაბისაგან იყო შემდგარი, ასე რომ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ გასინჯული ქვაბი კი არ გამსქდარა, არამედ მეორე.

ზამოძიება, ამ უბედურ შემთხვევის გამო, უკვე დაწყებულია, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მართლ-მსაჯულება სასტიკად დასჯის დამნაშავეებს, რომელნიც ასე გულ-გრილად უყურებენ ადამიანის სიცოცხლეს.

მადლობა განგებას კიდევ, რომ ეს უბედურება მოხდა სწორეთ იმ დროს, როდესაც მუშები პურის საჭმელად იყვნენ წასულნი და სახელოსნოში ბევრი ხალხი არ იყო; საორთქლე ქვაბი რომ სახელოსნოში მუშაობის დროს გახეთქილიყო, უეჭველია, ათი და თერთმეტი მსხვერპლი კი არ იქნებოდა, შეიძლება ათი ამოდენიც დაიხოცა.

თერთმეტ მოკლულ კაცს გარდა, ამბობენ, ოთხი მუშა აკლია კიდევაო. ზოგიერთების აზრით, ეს ოთხი მუშა სწორეთ იმ კედელ ქვეშ უნდა იყვნენ მოტნეულნი, რომელიც საორთქლე ქვაბის გახეთქის დროს ჩამოიქცა.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! პატივცემულის თქვენის გაზეთის „დროების“ ამ წლის მე-2 №-ში არის დაბეჭდილი კორრესპონდენცია რაჭიდამ, რომლის ავტორი ბ-ნი ა. წ. აგვიწერს საზოგადოდ ამ მაზრის სასოფლო შკოლების მდგომიარეობას, იმათს ვითომ სრულებით უსარგებლობას, მასწავლებლების და პროგრამმის უვარგისობის გამო, და აგრეთვე ჰკიცხავს ჩემს მოქმედებას ამ სკოლების შესახებ. ამისთვის გთხოვთ თქვენ, ბ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში შემდეგს ჩემს პასუხს:

კორრესპონდენტი ამბობს:

„რაჭის გლეხ-კაცობას არც თანაგრძნობა, არც მატერიალური საშუალება არ დაუზოგავს თავის შვილების სწავლისათვის; მაგრამ, ახლა თუ გულ-გრილად და ეჭვიანის თვალით შესცქერის თავის სკოლას, ეს იმისთვის, რომ მას სკოლამ სარგებლობის ნაცვლად ზარალი მისცა.“

ამ აზრის დასამტკიცებლად კორრესპონდენტს მოჰყავს ვილაც გლეხის სიტყვები: „სამი წელიწადი სწავლობდა ჩემი შვილი და დღეს მოკითხვის ბარათს ვერ წაიკითხავს და ოჯახის საქმეს ხომ სულ გადაეჩვია!“

დიახ, გლეხ-კაცობამ სკოლას თავ-და-პირველად თანაგრძნობა გაუწია, ე. ი. დაუნიშნა მასწავლებლებს თითოეულს 200 მან. ჯამაგირი, მისცა მათ სადგომი სახლები და მოსამსახურე, აგრეთვე მოსწავლეები, რასაკვირველია, ბლომად.

მაგრამ რას ვხედავთ სამის წლის შემდეგ? გლეხობა უკმაყოფილებას აცხადებს სკოლაზედ, ყმაწვილების რიცხვი საშინლად მცირდება, ზოგიერთ სკოლებში არ აღემატება 7—8.

რატომ, რა მიზეზია? თქვენ, ბ. კორრესპონდენტო, იტყვით, რომ სწავლა არ იყო... მაგრამ ორიოდე სკოლა მაინც რაჭაში ყველასგან იყო ნაცნობი რიგიან სკოლებად; რატო იმათშიც ყმაწვილების რიცხვი შუაზედ გაიყო და მაინცა და მაინც სამის წლის შემდეგ, არც ამაზედ ადრე, არც გვიან? აი რა გახლავთ ამის მიზეზი:

სამს წელიწადს ყმაწვილებმა კურსი გაათავეს; ისინი თავიანთ მამებმა წაიყვანეს სხვა-და-სხვა კანცელარიებში და შეევედრენ იმათ უმფროსებს, რომ მათი შვილები მიეღოთ მწერლებათ. მაგრამ, რადგან ამაზედ გლეხებმა ყველასაგან უარი მიიღეს, შემდეგ ჰსთქვეს: „რისთვის გავზარდეთ კლასსში შვილები, თუ მათ სამსახურში არ მიიღებდნენ და ჩინოვნიკები არ შეიქმნებოდნენო!“

ზესმისთ, გლეხობა რას თხოულობს სკოლისაგან? მას ვერ წარმოუდგენია, რომ მიწის მუშისთვის საჭირო იყოს სწავლა, რომელიც მიღებისა-თანავე არ აძლევს კაცს ნივთიერ, საგრძნობელ სარგებლობას. აქ მოულოდნელს მე ვერას ვხედავ: თავ-და-პირველად ყოველგან და ყოველთვის ეგ აზრი ჰქონია გლეხობას პირველ-დაწყებით სწავლაზედ; მაგრამ შემდეგ ის თან-და-თან შეჩვევია სკოლას და გაუგია იმისი დანიშნულება.

რაც შეეხება მასწავლებლების მოუმზადებლობას, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ სკოლებში სპეციალისტები ჩვენ არა გვყანან,-ეგ ყველამ იცის. მაგრამ ყოველს მათგანს შეუძლია ასწავლოს შაგირდებს სამშობლო ენაზედ წერა-კითხვა, არითმეტიკის 4 მოქმედება, პირველ-დაწყებითი ცნობები საღმრთო წერილიდამ და აგრეთვე რამოდენიმე რუსულიდამაც. ამ გვარი სწავლა რომ ყველასათვის სასარგებლოა, ამაში დამეთანხმება თვით კორრესპონდენტიც, და ის ვერასოდეს ვერ [illegible] ბავშს, რომელსაც სამის წლის განმავლობაში უბრალო წერა-კითხვა თავის ენაზედ ვერ შეესწავლოს ჩვენს სკოლებში. „ბარათი ვერ წაიკითხაო!“ ვინ არ იცის, თუ როგორ ჯღაბნიან ჩვენში ბარათებს? იმათ ხშირად ვერავინ ვერ გაუგებს თავ-ბოლოს, თვით მათი დამბჯღაბნელებიც, არა თუ სოფლის ბავში.

შემდეგ ბ. კორრესპონდენტი ეხება ჩემს მოქმედებას ამ სკოლებში და ამბობს:

„წასრულს წელს სოფ. ამბროლაურში მობრძანდა დირექტორის თანაშემწე ბ. მ-ი, გარდაავლო თვალი სასწავლებელს და საათ-ნახევრის შემდეგ ს. ველევში წაბრძანდა. აქაც იმოდენივე ხანს დაჰყო და, როგორც მითხრეს, იმ დღესვე მესამე სკოლის სანახავად გაემგზავრა ს. სხვავაში.“

ეს სრულებით ცილის-წამება გახლავსთ, ბ. კორრესპონდენტო: ამბროლაურში მე სკოლისთვის თვალიც არ გადამივლია, რადგან ადგილობრივი მასწავლებელი იყო დატუსაღებული სიმამრის მკვლელობისათვის და შაგირდები ახლდნენ თავიანთ მამებს სამუშევარში. მართალია, შეიძლებოდა იმათი მოგროვება, მაგრამ ამისთვის იყო საჭირო ორი დღის ლოდინი და მე ამოდენი დრო არა მქონდა, რადგან კანიკულები ახლოს იყო და შეიძლებოდა დანარჩენ სკოლებში ყმაწვილები სულ დაეთხოვნათ. მაგრამ რას გადაჰკვლე თვალი იცით? სკოლას კი არა, სკოლის შენობას—ეგ მართალია.

ველევში მე გახლდით მთელი დღე, ნაცვლად საათ-ნახევრისა, როგორც თქვენ ბრძანებთ. ყმაწვილები დამიხვდენ კლასსში მხოლოდ ექვსი; ისინი იყვნენ ერთის წლის შემოყვანილნი და იცოდნენ თავის ენაზედ: ამოკითხვა, წერა, პირველ-დაწყებითი ლოცვები და ოცამდი ანგარიში. ამის მეტი პროგრამმის ძალით ერთის წლის

ეს ბანკი ისე სხვაც, და ყოველთვის შეწყნარებულა ფინანსთ-სამინისტროსმიერ მათი თხოვნა. მაგრამ ახალ ფინანსთ სამინისტროის საკრედიტო კანცელარიის ახალმა უფროსმა (დირექტორმა) ბ-ნ ივანოვმა „სიახლის“ შემოტანა მოისურვა, ალბად, თითქმის მთლად მისგან დამოკიდებულს საქმეში და უარი ატკიცებინა სამინისტროს ბანკისათვის გირავოს ფურცელთა გამოშვებაზე. იცით მიზეზად რა მოჰყავთ? —„რამდენიმე სოფლებში მიწა სხვა-და-სხვა ფასებით დაუფასებია ბანკსაო. ერთს სოფელში რომ მიწის ქცევა 20 მან. არის დაფასებული, მეორე სოფელში იგივე ქცევა 100 მან. დაუფასებიათო. აქედამ სჩანსო (!!), რომ ბანკისაგან ვერ არის მამულები რიგიანად დაფასებულიო და ამიტომაც სესხისათვის ნათხოვნის გირავოს ფურცელთა გამოშვების ნებას ვერ გაძლევთო“.

მოდით და ღიმილი ნუ მოგივათ! ჩვენში ძუძუ-მწოვარმაც კი იცის, რომ საქართველოს ერთსა და იმავე სოფელში ნახავთ მთას, ვაკეს და ღრიანკალსაც. ამის-და-მიხედვით სოფლის ერთს ადგილს რომ ქცევა თუმნად ჰფასობს, მეორე ადგილს ასს და ორასს მანეთზედაც მეტი ღირს. და ამ მიზეზთა მიხედვით წარმოებული დაფასება პეტერბურღში ურიგო ჰგონიათ და ბანკს სესხს არ უმტკიცებენ! რად ჰგონიათ ასე? რად და იმიტომ, რომ საქართველოშიაც იგივე ბუნებრივ-გეოლოგიური პირობები ჰგონიათ, როგორც რუსეთში, სადაც მთელი ევროპის რუსეთი მხოლოდ რამდენიმე ბუნებრივ ზოლებად (полосы) არის დაყოფილი, თითო ზოლი თითქმის მთელს ამიერ-კავკასიის ოდრის და ადგილების. ფასი ზოლის ყოველივე ნაწილში თითქმის ერთი და იგივეა. რუსეთში ასეა და ჩვენი რა ბრალია, რომ ბუნება ჩვენში სხვანაირია და სამინისტროს ჩინოვნიკმა რომ ეს არ იცის.

მეორე უარი იმავ სამინისტროსაგან ბანკისათვის მიწერილი ის არის, რომ არ დაუმტკიცებიათ ის ცვლილება, რომელიც ბანკის გამგეობის წარდგინებისა-მებრ შარშანდელმა ზოგად კრებამ გარდასწყვიტა: ჩვენს ბანკს მიეცეს ნება ქალაქში მდებარე მამულები $27\frac{1}{2}$ წლის ვადითაც დაიგირავოსო. აქ სამინისტროს უარის მიზეზად მოჰყავს ის გარემოება, რომ სავადო გადასახადს მთლად უნდება დაგირავებულ მამულთა წმინდა შემოსავალიო.

საკრედიტო კანცელარიის უფროსს უთქვამს ბანკის პეტერბურღელ აგენტისთვის—თ. ვ. მაჩაბლისთვის, როგორც ეს უკანასკნელი იწერება თავის ბარათში ბანკის გამგებლის ნ. ლოლობერიძის სახელობაზე, „რომ მე არ თანავუგრძნობ საადგილ-მამულო ბანკთაგან ქალაქის მამულებზე სესხის გაცემასაო; სასურველიაო, რომ ისინი მარტო სოფლის მამულებს ეწეოდნენო და სასოფლო მეურნეობას აუმჯობესებდნენო“.

შეიძლება ჩვენც ამ აზრისანი ვიყვნეთ და თანავუგრძნობდეთ ბ-ნ ივანოვის ამ სიტყვებს, მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ, თუ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ზემოხსენებული დაწესებულება ამ უარის თქმის დროს, იგი გადასცილებია იურიდიკულს ნიადაგს და ასცდენია კანონის გზას, რადგანაც უზენაესად დამტკიცებული წესდებულება იწყნარებს ქალაქის მამულების დაგირავებას 18 წლითაც და $27\frac{1}{2}$-თაც საადგილ-მამულო ბანკებისაგან.

ამ საქმის გამო ბანკის გამგებელი ოთხს ამ თვისას პეტერბურღში წავიდა, რათა იშუამდგომლოს ფინანსთ სამინისტროში, რომ მიიღონ ყველა ის თხოვნა, რომელზედაც მან უარი განაცხადა...

განმავალობაში შაგირდისაგან არას-ფერი მოითხოვება. აქვე იყვნენ 30-თი გლეხები, რომელთანაც მე მქონდა ბასი სკოლის მიუცილებელ საჭიროებაზედ მათთვის; მაგრამ რა გამოვიდა აქედამ? ისინი არ ამბობენ, რომ სკოლა არ არის სასარგებლოო. —სკოლა კარგია, მაგრამ ბავშებს, ჩვენის სიღარიბის გამო, ვერ მოვაცალეთ სწავლისათვის, რადგან ისინი გვჭირდება ჩვენ შინაობაშიო. რამოდენად საფუძვლიანია ეს მიზეზი—ამას ყველა მიხვდება, მაგრამ რა გაეწყობა? ისე ადვილი არ გახლავსთ ამ გვარ საქმეში გლეხის დაჯერება, როგორც შორიდამ ზოგიერთებს ჰგონიათ.

აქვე მოგახსენებდით, ბ. კორრესპონდენტო, იმაზედ თუ როდის გიახელით მე სხვავისსკოლ . . . ან რა მდგომარეობაში ვნახე ის; მაგრამ ამის შესახებ თქვენ ჰსწერთ სხვისგან ნაამბობს და ტყუილი რომ იყოს, არ გაგემტყუვნებათ, რადგან თქვენგან ნახულიც, დანარჩენ ორს სასწავლებელში, გამოდგა აშკარა სიცრუე.

25 იანვარი გ. ქორქაშვილი.

# განცხადებანი

**გორის მახლობლად სამ სოფელში,** რომელნიც მდებარობენ 3, 7-ს და 8 ვერსზედ, იყიდებიან ყოვლის ფრით შემკობილი სახნავი და სათესი მამულები თავიანთის წყლით და საძოვრით.

მსურველს შეუძლიან მიმართოს გერაზედ, ოლღინსკის ქუჩაზედ, აგურხანის პერეულკში, № 6, ჯავახოვს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველივე გარემოებას და სადაც ნახავს თვით მამულების პლანს. (3—2)

---

**ინგლისის მაღაზიაში**
არწრუნის გალლერეიაში
*(Maison de confiance)*

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
ხუყვთეხო 2 მანეთ. — 3 მანეთ.
ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი აქაღალდით. (100—85)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—68)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

ი. მურადოვის
**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—50)

---

დაიბეჭდა და იყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**
**საერთო მფლობელობაზე**
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ *(choke bore) George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თიფლისში. (100—78)

---

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები. და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—31)

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკვილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—90)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ ბანკის ქვეშ დარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—74)

---

**დასყიდვა აღდგომამდის**
ინგლისურ მაღაზიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ. შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ჟიდკა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტახტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტერ 60 კ. გირვანქა. **ახალ-ახალი**-წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—1)

---

ნაფიცი ვექილი
**ალექსანდრე მირიანის-ძე**

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: **ქუთაისში,** სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—1)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება
თფილისის წიგნის მაღაზიებში
**იგავ-არაკნი**
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

---

**ტაქსის**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დარებით 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:
პირველის ხარისხის—1 გირ. 3½
მეორის „ —1 გირ. 3 კ.
მესამის „ —1გირ. —
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გირ. 6 კ.
მეორის „ —1 გირ. 4 კ.
ჭვარის-მამის პური:
პირველ ხარის.ლავაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ „ —1 გირ. 5 კ.
მესამის „ „ —1 გირ. 4½
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ. 11 კ.
მეორის „ —1 გირ. 9 კ.
სუკი — — —1 გირ. 16 კ.
ცხვრის ხორცი 1 გირ. 12 კ.
ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ. 12 კ.
მეორის „ —1 გირ. 11 კ.

Дозволено цензурою: Тифлисъ, 8 Февраля 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი